

მე-5 კლასი

I. ენის სამყარო

1. რომელი ბრუნვის ფორმაა „მინდვრის“:
 - ა. მიცემითი; ბ. ნათესაობითი; გ. მოქმედებითი; დ. ვითარებითი
2. რომელ ბრუნვაშია სიტყვა „მიმინო“:

„გაფრინდი, მიმინო, გაფრინდი, შენ თავისუფლების ღირსი ხარ!“

 - ა. სახელობითი; ბ. მოთხრობითი; გ. ვითარებითი; დ. წოდებითი
3. რომელი სიტყვაა ფუძეკუმშვადი:
 - ა. მხედარი; ბ. სახლი გ. ხელი; დ. ცეცხლი
4. რომელია არასწორი დაწერილობა:
 - ა. გ. ლეონიძე; ბ. ა. წერეთელი; გ. ვ. ფშაველა; დ. ნ დუმბაძე
5. რომელია წარმოქმნილი (მიმართებითი) ზედსართავი სახელი:
 - ა. ტკბილი; ბ. მოყვითალი; გ. ჭკვიანი; დ. უდიდესი

II ლექსიკა

6. რომელია ანტონიმური წყვილი?
 - ა. შლის - კითხულობს; ბ. კეცავს - შლის; გ. კითხულობს - მოსწონს; დ. მოსწონს - კეცავს
7. ჩამოთვლილი სიტყვებიდან იპოვეთ ისეთი, რომელიც კარგად განმარტავს სიტყვას „ყიალი“:
 - ა. ბილწსიტყვაობა; ბ. უსაქმურობა; გ. სისუსტე; დ. ხეტიალი

III მიმართებები

იპოვეთ წვილები, რომელთა შორის არსებობს მიმართება: მთლიანი - ნაწილი

- ა. მხდალი - გულადი; ბ. მდინარე - მტკვარი; გ. გახდილი - ჩაცმული; დ. წიგნი - ყდა

IV წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ ეპიზოდი აკაკი წერეთლის მოთხრობიდან „ჩემი თავგადასავალი“ და უპასუხეთ დასმულ კითხვებს:

ერთხელ სწავლა რომ გათავდა და შეგვასვენეს, მე, რადგანაც დილას არა მეჭამა რა, შევირბინე შინ. ვიგდე ახალუხის ჯიბეში ცხელი მჭადის კოკორი და მივაშურე ისე კლასს: არ დამაგვიანდეს - მეთქი. ტროეს გაკვეთილი იწყებოდა. ფეხად შეესწრო ჩემთვის და ხუთი მოწაფე კიდეც გამოეხმო და გაემწკრივებინა. შევყავ თუ არა, მომაყვირა: - შენ, აქ მობრძანდი და დადექ ამათთანაო! მივედი და გავჩერდი. ცხელი მჭადი მომედვა ბარძაყზე და მეცხუნა. მე შმაშური დავიწყე, ხელი მოვუსვი, ასე რომ ავტოკდი. მასწავლებელმა შემნიშნა და მკითხა: რა გემართებაო? დაფარვა აღარ შეიძლებოდა.. ამოაყოფინეს ჯიბიდან მჭადს თავი... შევირდებმა გადაიხარხარეს. მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა და წინ სტოლზე დაიდვა. მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა. დავიწყო გაკვეთილების კითხვა. ამ

დროს, ჩემდა საუბედუროდ, ინსპექტორი შემოვიდა. მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები. ეს ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის „გაროზგვას“ არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ეცემა. ერთხელ ერთსა და იმავე დროს ორი ბავშვი „გაროზგა“: ერთი იმიტომ, რომ თმა წამოგზრდიაო და მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მოგიჭრიაო! ვიფიქრე: „ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი!..“ მართლაც, მოჰკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა: - ამ მჭადს რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო!.. ერთი მოწაფე, რომელიც ხშირად მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა: წერეთელს ამოუღეს ჯიბიდანაო - რათ მოგიტანიაო?! მკითხა მრისხანედ. მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებელმა მოახსენა: ახლავე გაიგებთო და მკითხა: ეს რა არისო? მჭადი-მეთქი, - ვუპასუხე კნავილით. - რისგან კეთდება? - სიმინდისაგან. როდის სთესენ სიმინდს? რანაირად იზრდება? როგორ ამუშავებენ? როდის აკეთებენ მჭადს და სხვანი. ესენი ყველაფერი გამომკითხა და მეც პასუხს ვაძლევდი. რამდენიმე წუთს მკითხავდა და ბოლოს სთქვა: კარგიო! ხვალ ნუ დაგავიწყდება ბრინჯის მოტანაო; ხვალ იმის შესახებ ვილაპარაკოთო. ინსპექტორმა იფიქრა: აქ სწორედ მასწავლებლის სურვილით მოუტანიათ მჭადიო და გავიდა კლასიდან ხმაამოუღებლად. მასწავლებელმა მაბეზღარი მოწაფე გაიხმო და ჰკითხა: შენ არა გაქვს რა ჯიბეშიო? გაუსინჯა და კოჭი უნახა. - ეს რა არისო? ეს ხომ სათამაშოა, რომელიც კლასებში სრულიად გამოუსდეგარია და შენ კი ჯიბეში გიდევსო!.. წერეთელმა მჭადი იმიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ვეღარ მოასწრო და შენ კი სათამაშოდ დაბრძანდები! კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდე! მე მაგ კოჭით წარგადგენ ინსპექტორთანო. იმ მოწაფეს ფერი ეცვალა და ატირდა. კლასი რომ გათავდა, მიუბრუნდა მტირალს და უთხრა: კარგი, ახლა კი მიპატიებია, მაგრამ შემდეგ კი ფრთხილად იყავი: რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო.

8. **ნაწარმოების მთავარი გმირი, კლასში დაბრუნებისას, რა სურათს შეესწრო?**
 - ა. მასწავლებელი მოსწავლეებს ახალ გაკვეთილს უხსნიდა; ბ. ტროეს ხუთი მოწაფე გამოეხმო და გაემწკრივებინა; გ. საკლასო ოთახში აღარავინ დაუხვდა; დ. დირექტორს კლასელები დაესაჯა.
9. **აკაკის რა ემოცია გამოიხატა ფრაზით: „მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები“ ?**
 - ა. აკაკის გაუხარდა; ბ. აკაკი გაბრაზდა; გ. აკაკის შეეშინდა; დ. აკაკის ეწყინა.
10. **აკაკის თქმით, როგორი ადამიანი იყო ინსპექტორი?**
 - ა. შეუბრალებელი; ბ. გულმოწყალე; გ. სევდიანი; დ. ბრაზიანი
11. **რა რეაქცია ჰქონდათ მოსწავლეებსა და მასწავლებელს მაშინ, როდესაც აკაკის ჯიბიდან ცხელ მჭადს თავი ამოაყოფინეს?**
 - ა. შეგირდებსაც და მასწავლებელსაც გაუკვირდათ; ბ. შეგირდებმა გადაიხარხარეს, მასწავლებელმა უღვაშებში ჩაიციინა; გ. შეგირდები გაჩუმდნენ, მასწავლებელი გაბრაზდა; დ. არც შეგირდებმა და არც მასწავლებელმა არ შეიმჩნიეს.
12. **როგორ მოექცა მასწავლებელი მოქიშპე მოსწავლეს?**
 - ა. კლასიდან გააგდო; ბ. მოეფერა და აპატია; გ. მოსწავლეებთან შეარიგა; დ. ჯერ გაუბრაზდა, შემდეგ გააფრთხილა და აპატია.
13. **მთხრობელი რა სიტყვას იყენებს მოქიშპე ბიჭის შესაფასებლად?**
 - ა. ბრიყვი; ბ. სულელი; გ. მაბეზღარი; დ. ბოროტი
14. **რა მეთოდი გამოიყენა ტროე მასწავლებელმა, დასჯისგან რომ ეხსნა აკაკი?**

ა. თვითონ დაიბრაღა დანაშაული; ბ. ისე მოიქცა, თითქოს თვითონ ჰქონდა მჭადის მოტანა დავალებული; გ. მოსწავლის ნაცვლად თვითონ მოიხადა ბოდიში; დ. ინსპექტორს შეჰპირდა, რომ დანაშაულის გამეორების შემთხვევაში, თვითონ იზრუნებდა დამნაშავის სკოლიდან გარიცხვაზე.

15. როგორ ახასიათებს მოქიშპე ზიჰს ჩადენილი საქციელი, მისი რა თვისებები იკვეთება?

ა. მახეზღარა, გულღვარძლიანია; ბ. მშვიდი, გაწონასწორებულია; გ. ბოროტი, დაუნდობელია; დ. ცუდლუტი, მატყუარაა.

16. ნაწარმოებში გამოყენებული რომელი ფრაზა გადმოგცემს ამ ნაწყვეტის მთავარ აზრს?

- ა. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა;“
- ბ. „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების;“
- გ. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო;“
- დ. „რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო.“

17. რა ჟანრისაა მოთხრობა?

- ა. ბიოგრაფიული;
- ბ. ისტორიული;
- გ. ავტობიოგრაფიული;
- დ. ფანტასტიკური.